საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დარჩიაშვილი დავით შანშეს ძე

დარჩიაშვილი დავით შანშეს ძე (16. XII. 1960, თბილისი), ისტორიკოსი, ისტ. მეცნ. დოქტორი (2002).

დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (1987), ჯორჯ მარშალის უსაფრთხოების კვლევის ცენტრი (გერმანია, 2001).

1990–91 იყო ქართვ. ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი და გაზ. „ქართველი ერის" (ტრადიციონალისტთა კავშირის ორგანო) რედაქტორი. 1991–2004 იყო თსუ-ის რუს. ისტ. კათედრის მეცნ. თანამშრომელი, საქართვ. პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფონდის – „ღია საზოგადოება – საქართველო" აღმასრ. დირექტორი (2004–08).

არის სამხ.-სამოქ. ურთიერთობების და უსაფრთხოების კვლევის ცენტრის (კავკასიური ინ-ტი) დირექტორი (1997 წლიდან), ილიას სახელმწ. უნ-ტის პროფესორი (2006-იდან), საქართველოს პარლამენტის წევრი. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე (2008).

ავტორი მონოგრაფიისა: „ჯარისკაცები, პოლიტიკოსები, მოქალაქენი" (2000).